რუსუდან მეძმარიაშვილი
საგარეო ურთიერთობების მენეჯერი

იალბუზის ქუჩა №14
თბილისი, 0144
საქართველო

ტელ.:+995 32 259 3400
www.bpgeorgia.ge
წერილის ნომერი: **BTC/OUT/5184/23**

13 აპრილი, 2023 წ.

ქ-ნ თ. ფიცხელაურს
სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" უფროსს
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
თბილისი, 0112, დ. აღმაშენებლის გამზ. N150

საგანი: სკრინინგის განაცხადი მდ. ომორას მიმდებარედ ნაპირსამაგრი კედლის მშენებლობის შესახებ, ბორჯომის მუნიციპალიტეტი

გარემოს ეროვნული სააგენტო
„19" 04 2023
№ 3308

ქალბატონო თამარ,

გაცნობებთ, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის ობიექტებამდე მისასვლელი საავტომობილო გზის აღდგენის პროექტის ფარგლებში, მილსადენის უსაფრთხო და შეუფერხებელი ექსპლუატაციის უზრუნველყოფის მიზნით, დაგეგმილი გვაქვს ბორჯომის მუნიციპალიტეტში, საავტომობილო გზის მიმდებარე მდ. ომორას ნაპირსამაგრი კედლის მოწყობა.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად, ზემოაღნიშნული პროექტის სკრინინგის პროცედურის ფარგლებში, წარმოგიდგენთ შემდეგ დოკუმენტაციას:

- სკრინინგის ანგარიში (დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ) – 42 გვერდი;
- სკრინინგის ანგარიშის დანართი 1 (მხოლოდ ელ. ვერსია): GIS შეიპფაილები - დაგეგმილი საქმიანობის ადგილმდებარეობის კოორდინატებით;
- სკრინინგის ანგარიშის დანართი 2: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2022 წლის 9 დეკემბრის N 2-03/19752 წერილის ასლი - თანხმობა პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით - 1 გვერდი;
- სკრინინგის ანგარიშის დანართი 3: ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფ. ციხისჯვრის ადმინისტრაციული ერთეულის თანხმობა (N 17-162302050 წერილის ასლი) სამშენებლო კონტრაქტორი კომპანიის შპს „მგს საქართველოს ფილიალის" მიერ მიწის ფართობით დროებითი სარგებლობის თაობაზე - წერილის ასლი - 1 გვერდი;
- სკრინიგნის ანგარიშის დანართი 4: „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია (საქართველოს)" სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და ეროვნული სატყეო სააგენტოსადმი გაგზავნილი NN BTC/OUT/5159/23, BTC/OUT/5176/23 და BTC/OUT/5183/23 წერილების ასლები დანართების გარეშე სახელმწიფო მიწის

ნაკვეთზე ს.კ. 64.29.03.745 ცამეტი ხე-მცენარის მოჭრასთან დაკავშირებით - 5 გვერდი;

- სკრინინგის ანგარიშის დანართი 5: „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია (საქართველოს)" სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსადმი გაგზავნილი NN BTC/OUT/5115/22, BTC/OUT/5131/22 და BTC/OUT/5131/22 წერილების ასლები დანართების გარეშე საპროექტო ტერიტორიის სახელმწიფო მიწის ნაკვეთებზე ს.კ. 64.29.03.745 და ს.კ. 64.29.04.479 უფლების გადაცემასთან დაკავშირებით და აღნიშნული ნაკვეთების შესახებ ამონაწერები საჯარო რეესტრიდან - 12 გვერდი;
- „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია (საქართველოს)" (ს/ნ 204992785) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან - 2 გვერდი;
- „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია (საქართველოს)" (ს/ნ 204992785) დირექტორის 2021 წლის 8 ოქტომბერს გაცემული მინდობილობა ქ-ნი რუსუდან მეძმარიაშვილისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი N 211130218) – 9 გვერდი.

საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალური ნავთობსადენის უსაფრთხო და შეუფერხებელი ოპერირების უზრუნველყოფის მიზნით, მოგმართავთ თხოვნით შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მიიღოთ სკრინინგის გადაწყვეტილება.

პატივისცემით,

რუსუდან მეძმარიაშვილი,
დირექტორის მინდობილი პირი

დანართი:

- ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის ნაბეჭდი ვერსია - 1 ეგზემპლარი და ელექტრონული ვერსია - 1 CD.